კონსტიტუციური იუსტიციის წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები და საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები

ნინო ნიშნიანიძე
სტუ-ს პროფესორი

კონსტიტუციურობისა და კანონიერების დაცვის უმაღლეს სასამართლო ორგანოთა დაწესება არ წარმოადგენს თანამედროვე სამართლებრივი სისტემების გამოგონებას. ის ევროპის კონტინეტზე კონსტიტუციონალიზმის ისტორიულ განვითარებასთან არის დაკავშირებული. განვითარების ისტორიულ წიაღში საკონსტიტუციო კონტროლმა რამდენიმე დამახასიათებელი ეტაპი განვლო.

პირველ ეტაპად შეიძლება განვიხილოთ პერიოდი პირველ მსოფლიო ომამდე, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი ელემენტები ჯერ კიდევ 1180 წელს გვხვდება, რომელიც გერმანულ ერთა წმინდა რომის იმპერიის პერიოდს განეკუთვნება. თავდაპირველად სასამართლო ორგანოები ძირითადად ცალკეულ მფლობელთა შორის დავებს აწესრიგებდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფლებათა დარღვევის განხილვითაც იყვნენ დაკავებული. საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტები გარკვეული ფორმით შენარჩუნებული იყო გერმანული სამართლის მთელი არსებობის მანძილზე იმ მომენტამდე სანამ კონტროლი თანამედროვე გაგებით ვაიმარის კონსტიტუციაში არ აისახა[1].

საფრანგეთში საკონსტიტუციო კონტროლის ჩანასახები უკვე მეცამეტე საუკუნის შუა წლებიდან არსებობდა, პორტუგალიამ საკონსტიტუციო კონტროლი ფილიპეს კოდექსის მიღებასთან ერთად შემოიღო.

სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის უფრო განვითარებული ფორმები მეცხრამეტე საუკუნეში, ნორვეგიის, დანიისა და საბერძნეთის კონსტიტუციებში გვხვდება.

ავსტრიაში ფედერალურმა სასამართლოს 1867 წელს მიიღო ინდივიდუალურ პოლიტიკური უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება. ამავდროულად სახელმწიფო სასამართლოს გააჩნდა საკონსტიტუციო საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. შვეიცარიაში საკონსტიტუციო კონტროლის ჩანასახად შეიძლება 1948 წლის ფედერალური კონსტიტუცია მივიჩნიოთ, თუმცა უფრო ფართო კომპეტენცია შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ 1874 წელს, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემდეგ მოიპოვა. ნორვეგიაში საკონსტიტუციო კონტროლს სასამართლოები 1890 წლიდან ახორციელებენ, რუმინეთში კი საკონსტიტუციო სასამართლო სამართალწარმოება პირველი მსოფლიო ომის წინ წარმოიშვა, არაგონის, მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების სამართალი საკონსტიტუციო უფლებების ისეთი პროცედურის მეშვეობით დაცვას ითვალისწინებდა, რომელიც საკონსტიტუციო საჩივრის პირველ სახეობას წარმოადგენდა. შემდგომში საკონსტიტუციო უფლებების დაცვის ანალოგიური ფორმები ესპანეთისა (1978) და პორტუგალიის (1976) სამართლებრივ სისტემებშიც აისახა. კიდევ უფრო ადრე მათი გავრცელება მოხდა ლათინურ ამერიკაში, არგენტინასა (1853 წლის კონსტიტუცია), ბრაზილიასა (1890 წლის კონსტიტუცია) და მექსიკაში (1857 და 1917 წლების კონსტიტუციები)[2].

თანამედროვე ინგლისურ სამართლებრივ სისტემას საკონსტიტუციო კონტროლი არ გააჩნია, მაგრამ ინგლისური სამართლის ისტორიიდან ცნობილია, მისი ზოგიერთი ელემენტი, როგორიცაა მაგალითად, კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი, რომლის შემოღებაც 1610 წლის თარიღდება, რამაც კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარებაში ინგლისის წვლილზე მეტყველებს იმპიჩმენტის მექანიზმი, რომელიც ინგლისში გვიან საუკუნეებში აღმოცენდა. კონსტიტუციისა და სასამართლო კონტროლის უფლების უზენაესობის იდეები ინგლისიდან

შეერთებულ შტატებში გავრცელდა, სადაც უკვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს სასამართლომ ზოგიერთი ინგლისური აქტის მოქმედება ჩრდილო ამერიკული შტატების ტერიტორიაზე ბათილად სცნო. მაგრამ 1789 წელს მიღებულმა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით აშშ უზენაეს სასამართლოს ცხადად გამოხატული საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებები განხორციელების უფლება არ მინიჭებია. ამერიკის შეერთებული შტატებში საკონსტიტუციო სასამართლო წარმოებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა 1803 წელს ცნობილმა საქმემ „მერბერი მედისონის წინააღმდეგ" მოახდინა, სადაც უზენაესმა სასამართლომ თავისთავს თავად მიანიჭა საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება. განმეორებით ასეთი საქმე უზენაეს სასამართლოში მხოლოდ 1857 წელს იქნა შეტანილი, რამაც ფაქტიურად გაკვალა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში საკონსტიტუციო კონტროლის რეგლამენტაციის გზა [3].

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდი ე.წ. „ავსტრიული პერიოდად" განიხილება. 1920 წლის ავსტრიულმა კონსტიტუციამ დააფუძნა საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი განსაკუთრებული უფლებამოსილებების მქონე საკონსტიტუციო სასამართლო. ავსტრიული მოდელის შესაბამისად მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი შემოღებული იქნა 1927 წელს საბერძნეთში, 1941 წელს ეგვიპტეში, 1937 წელს ირლანდიაში), 1931 წელს ესპანეთში და 1921 წელს ჩეხოსლოვაკიაში. საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის შემდგომი განვითარება ომის დაწყების გამო შეწყდა და უკვე შექმნილმა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციამაც პრაქტიკულად ვერ გააფართოვა თავისი მოღვაწეობის არეალი[4].მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარების ახლებური მიდგომა, რომლის შესაბამისად პარლამენტის უზენაესობის პრინციპს ადგილი უნდა დაეთმო კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპისათვის. საკონსტიტუციო კონტროლს სპეციალური ორგანო განახორციელებდა, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე არ იქნებოდა დამოკიდებული. ამავდროულად საკონსტიტუციო სასამართლო წარმოების შემოღება ხელისუფლების ვერტიკალური განაწილების პრინციპის რეალიზაციას ითვალისწინებდა. ეს პრინციპი ძირითადად ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოებში აღმოცენდა, რომლებშიც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კომპეტენცია იყო ფედერაციის წევრთა მიმართ, გამოცემული ფედერალური ხელისუფლების საკანონმდებლო აქტებზე ზედამხედველობის განხორციელება. საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა აგრეთვე შეიძლება ისტორიული მიზეზითაც აიხსნას, რომ სწორედ ომისა და ფაშიზმის მტკივნეული გამოცდილების საფუძველზე აღმოცენდა საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების იდეა, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ისეთი სასამართლო მექანიზმის შექმნა, რომელიც დემოკრატიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბების პროცესში ინსტიტუციონალური და პოლიტიკური ხასიათის მიზეზებიც უდავოდ არსებობდა, იმ სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებათა გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო კონტროლი მოქალაქეებისათვის იქცეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დასაცავ ქმედით მექანიზმად.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საკონსტიტუციო კონტროლი შემოიღეს 1947 წელს ბირმამ, ბრაზილიამ ხელმეორედ 1946 წელს, 1949 წელს გერმანიამ 1949 წელს ინდოეთმა, 1948 წელს იტალიამ, 1950 წელს ლუქსემბურგმა, 1950 წელს სირიამ, 1949 წელს ტაილანდმა, 1952 წელს ურუგვაიმ და 1947 წელს იაპონიამ. სხვადასხვა ფორმით საკონსტიტუციოს სასამართლო კონტროლი გავრცელდა აგრეთვე აზიის, აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში[5]. თანამედროვე პერიოდის დასაწყისი სამხრეთ ევროპის რიგ ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებებით აღინიშნა, დიქტატორული რეჟიმების დამხობამ გამოიწვია საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმების შექმნა, კერძოდ: 1968 წელს საბერძნეთში, 1968 წელს ესპანეთში და 1976 წელს პორტუგალია-

ში. დაახლოებით იმავე პერიოდში 1969 წელს, საკონსტიტუციო კონტროლი შემოღებულ იქნა ალჟირში, 1960 წელს კვიპროსში, 1960 წელს თურქეთში და 1963 წელს იუგოსლავიაში. ამავდროულად საკონსტიტუციო კონტროლის ცალკეული არსებული სისტემის გადასინჯვა მოხდა ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და შვედეთში. ოთხმოციან წლებში სოციალური და პოლიტიკური ძვრების შედეგად საკონსტიტუციო კონტროლმა ცვლილებები განიცადა ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის არაერთ ქვეყანაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არგენტინის გამოცდილება, სადაც ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებში დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნების პროცესი აისახა ცალკეულ პროვინციაში, საკონსტიტუციო კონტროლის განსხვავებული მექანიზმის შემოღებით. საკონსტიტუციო კონტროლმა შემდგომი განვითარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უფრო ფართო გავრცელებით ჰპოვა. საკონსტიტუციო კონტროლის არსებობით ივარაუდება უარი ხელისუფლების ერთიანობაზე, სწორედ აღნიშნულის გამო სოციალისტური სისტემის ქვეყნებს, როგორც წესი საკონსტიტუციო კონტროლი არ გააჩნდათ. გამონაკლისს წარმოადგენდა იუგოსლავია, რომელმაც 1963 წელს დაუფუძნა ავსტრიულ-გერმანული მოდელის ტიპის საკონსტიტუციო კონტროლი და ჩეხოსლოვაკია სადაც საკონსტიტუციო კონტროლი შემოღებული იქნა 1968 წელს, მაგრამ კონსტიტუციური მართლმსაჯულება პრაქტიკულად ამ ქვეყნებში არ ხორციელდებოდა. 1980-90-იან წლებში საკონსტიტუციო კონტროლი შემოიღეს ალბანეთმა 1992 წელს, 1991 წელს ბულგარეთმა, 1984-1989 წლებში უნგრეთმა, 1992 წელს ლიტვამ, 1991 წელს პოლონეთმა, 1988 წელს საბჭოთა კავშირმა, 1992 წელს სლოვაკეთმა, 1992 წელს სლოვენიამ და ესტონეთმა 1992 წელს[6]. საკონსტიტუციო კონტროლის თანამედროვე ეროვნული სისტემები მეტწილად ევროპულ მოდელის მიმდევარია. მაგალითად, იაპონიაში სადაც სასამართლო კონტროლი აგებული იყო ამერიკული მოდელის შესაბამისად, საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე ბოლოდროინდელი მეცნიერული და პრაქტიკული ანალიზის შედეგად, გადაწყდა ევროპული მოდელის შესაბამისი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის შემოღება.

დიდ ბრიტანეთშიც კი, რომელიც ლუქსემბურგსა და ნიდერლანდებთან ერთად იმ მცირერიცხოვან ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებსაც სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლი არ გააჩნია, წარმოიშვა იდეა საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების თაობაზე („უფლებათა ბილი“-ს გადასინჯვასთან დაკავშირებით). თანამედროვე საკონსტიტუციო კონტროლი უკვე გასცდა ეროვნულ საზღვრებს, ევროპის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კოდექსში სულ უფრო ხშირად არის მოხსენიებული სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ლუქსემბურგის ევროპის თანამეგობრობის სასამართლო. სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანიზაციის თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ შემდები მოდელები:

ამერიკული მოდელი, თანამეგობრობის მოდელი, ავსტრიული მოდელიშერეულ ევროპულ - ამერიკული მოდელი, ფრანგული მოდელი, ამავე სიბრტყეში შეიძლება განვიხილოთ, საკონსტიტუციო კონტროლის არატრადიციული სისტემების მქონე ქვეყნები, საკონსტიტუციო კონტროლის არმქონე ქვეყნები, საკონსტიტუციო კონტროლის განსაზღვრული ფუნქციების მატარებელი საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტები[7].

სასამარლოს კონტროლის ამერიკული მოდელი ითვალისწინებს, რომ საკონსტიტუციო დავების განხილვა სასამართლოში ხორციელდება ზოგადად სასამართლო სამართალწარმოებისათვის დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად(ე.წ. დეცენტრალიზებული კონტროლი). საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკულ მოდელს საფუძვლად ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ 1803 წელს განხილული საქმე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ და ჯინ მარშალის დოქტრინა უდევს. ამერიკული მოდელის შემთხვევაში ხორციელდება შემდგომი ანუ რეპრესიული კონტროლი. სასამართლო წარმოების ერთსახეობას უზრუნველყოფს უზენაესი (უმაღლესი) სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილებები, პრეცედენტების გარდა, როგორც წესი ეხება მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარეებს. საკანონმდებლო აქტის არაკონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლო

გადაწყვეტილება საჯაროდ ხასიათს ატარებს და მას უკუქმედების ძალა გააჩნია. საკონსტიტუციო კონტროლის მოცემული მოდელი მიღებულია შემდეგ ქვეყნებში: ევროპაში - დანიაში, ირლანდიაში, ნორვეგიასა და შვედეთში.

აზიაში - ბანგლადეში, ჰონკონგში, ისრაელში, ინდოეთში, ირანში, მალაიზიაში, ნეპალში, პაკისტანში, სინგაპურსა და იაპონიაში.

აფრიკაში - ბოტსვანაში, გამბიაში, განში, ზამბიაში, ზიმბაბვეში, კამერუნში, კენიაში, კომორის კუნძულები, მალავიში, ნამიბიაში, ნიგერიაში, სიერა-ლეონეში, ტანზანიასა და უგანდაში.

ამერიკაში - არგენტინა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბოლივია, დომინიკელთა რესპუბლიკა, ჰაიტიში, გაიანაში, ჰონდურასი, გრენადაში, კანადაში, მექსიკაში, ნიკარაგუაში, სენტ-კრისტოფერი და ნევისი, სურინამაში, აშშ-სა და იამაიკაში.

ავსტრალიასა და ოკეანიაში - კირიბატში, ნაურუში, ახალ ზელანდიასა და ფიჯიში.

თანამეგობრობის მოდელი არ წარმოადგენს ამერიკულ და ევროპულ მოდელს. ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლი აქ უზენაეს სასამართლოს კომპეტენციაა, რომელიც პოლიტიკური ნიშნის გარეშე მუდმივად დანიშნული მოსამართლეებისაგან შედგება. საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნული მოდელი უზენაესი სასამართლოს მერ წინასწარი კონტროლის განხორციელებას ანუ პრევენციულ კონტროლს და საკონსულტაციო ფუნქციების შესრულებას ითვალისწინებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს შემდგომი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, სასამართლო გადაწყვეტილებას სავალდებულო კი ძალა გააჩნია [8].

თანამეგობრობის მოდელი არის ბრიტანეთში, ასევე ეს მოდელი შემოღებულია მავრიკზე. საკონსტიტუციო კონტროლის ავსტრიულ მოდელს საფუძვლად უდევს სამართლის თეორეტიკოსის, კონტინენტურ ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების ფუძემდებლის ჰანს კელზენის (1920 წელი) დოქტრინა, რომელსაც „კელზენის მოდელს“ უწოდებენ, აღნიშნული მოდელი კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპზეა დაფუძნებული, რომლის დროსაც კონსტიტუციური იუსტიცია სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების, უზენაესი (უმაღლესი) სასამართლოების ან სპეციალური პალატების მიერ განსაკუთრებული წესით დანიშნული შესაბამისი კვალიფიკაციის მოსამართლეების მონაწილეობით ხორციელდება. საკონსტიტუციო კონტროლის ავსტრიულ მოდელს ზოგად კონტროლსაც უწოდებენ, თუმცა არ არის გამორიცხული კონკრეტული კონტროლის განხორციელების შესაძლებლობაც. შემდგომ (რეპრესიულ) კონტროლთან ერთად გათვალისწინებულია წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელებაც, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა გააჩნიათ. საკონსტიტუციო კონტროლის ავსტრიული მოდელი არაერთ ქვეყნებში ხორციელდება სხვადასხვა კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმების საშუალებით, კონსტიტუციურ კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ახორციელებს ევროპის შემდეგი სახელმწიფოები: ავსტრია, ალბანეთი, ბელორუსი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, უნგრეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, ლიეტუვა, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უკრაინა, ხორვატია, ჩეხეთი და ესტონეთი. აზიაში - ერაყი, კვიპროსი, ყირგიზეთი, მონღოლეთი, სირია, ტაილანდი, თურქეთი, შრი-ლანკა და სამხრეთ კორეა. აფრიკაში - ანგოლა, ბენინი, გაბონი, ეგვიპტე, მადაგასკარი, მალი, რუანდა, ეთიოპია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ამერიკაში - ჩილე, ავსტრალიასა და ოკეანიაში: პაპუა-ახალი გვინეა. საკონსტიტუციო კონტროლი უმაღლესი სასამართლოს ან მისი პალატის მეშვეობით ხორციელდება, შემდეგ სახელმწიფოებში: ევროპაში - ბელგია, ისლანდია, ლატვია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი. აზიაში - იემენი და ფილიპინები, აფრიკაში - ბურკინა-ფასო, ბურუნდი, ზაირი, ნიგერია, სენეგალი, სუდანი, ტოგო და ჩადი, ამერიკაში - კოსტა-რიკა, პანამა, პარაგვაი და ურუგვაი. საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო საბჭო ახორციელებს ევროპ\ში საფრანგეთში ხოლო აზიაში - მავრიტანიაში. საკონსტიტუციო კონტროლის კონტინენტურ (ევროპული) მოდელს ახასიათებს შემდეგი საერთო თავისებურებანი, საკონსტიტუციო კონტროლი შემოღებული იქნა არაერთგვაროვანი მიზეზით ქვეყნის კონკრეტუ-

ლი პირობების დამოკიდებულად. სასამართლო ხელისუფლების შტოსაგან ინსტიტუციონალურად დამოუკიდებელი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები ახორციელებენ კონტროლს ფართო გაგებით და ისინი წარმოადგენენ ერთიანი როგორც სასამართლო სისტემის ნაწილს [9]. სასამართლოების საკონსტიტუციო სტატუსი (ადმინისტრაციულ და საფინანსო ავტონომია) წარმოადგენს გადაწყვეტილებათა გამოტანის დროს მათი დამოუკიდებლობის აუცილებელ პირობას, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები ახორციელებენ მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლს და მათ საკონსტიტუციო კონტროლისათვის დამახასიათებელი ყველა უფლებამოსილება გააჩნიათ, მათ შორის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გაუქმების უფლებამოსილებაც. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი მოსამართლეები პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოების მიერ ინიშნებიან. სასამართლო ორგანოთა იურისდიქციას განსაკუთრებული ხასიათი გააჩნია, მათი გადაწყვეტილებები სამართლებრივ და პოლიტიკურ ხასიათის მატარებელია, თუმცა ისინი შესაძლოა იყოს საკონსულტაციო, სარეკომენდაციო ხასიათისაც. საკონსტიტუციო კონტროლს ძირითადად ნორმატიული აქტები ექვემდებარება, ძირითადად საკონსტიტუციო კონტროლი ორის სახისაა: შემდგომი (რეპრესიული) კონტროლი, უფრო იშვიათად კი წინასწარი, გამაფრთხილებელი (პრევენციული) კონტროლი. შერეული შერეული ევროპულ - ამერიკული მოდელი მოიცავს, როგორც დეცენტრალიზებული ასევე ცენტრალიზებული კონტროლის ელემენტებს, თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებები საკონსტიტუციო ან უზენაეს სასამართლოსთან (ან მის სპეციალურ ორგანოსთან) კონცენტრირდება, ყველა ჩვეულებრივი სასამართლო აღჭურვილია უფლებით საქმის განხილვის პროცესში არ გამოიყენონ ის კანონი, რომელსაც არაკონსტიტუციურად თვლიან. ამ მოდელის შესაბამისად კონტროლი სხვადასხვა ქვეყანაში შემდეგი კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმით ხორციელდება: საკონსტიტუციო სასამართლო: ევროპაში - პორტუგალია, ამერიკაში- გვატემალა, კოლუმბია ,პერუ, ეკვადორის რესპუბლიკა.. უმაღლესი სასამართლო ან მისი სპეციალური პალატა: ევროპაში - საბერძნეთი, შვეიცარია (იმის გათვალისწინებით, რომ შეზღუდული კონტროლის შვეიცარულ სისტემაში შვეიცარიის ფედერალური სასამართლო არ იძლევა ფედერალური კანონების კონსტიტუციურობის შეფასება),აზიაში - ინდონეზია, ტაივანი. ამერიკაში, ალჟირი, ბრაზილია, ვენესუელა, სალვადორი. ფრანგული კონტინენტური მოდელი ეფუძნება 1958 წელს შექმნილი საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს მოდელს. იგი ითვალისწინებს ცენტრალიზებულ კონტროლს, რომლის დროსაც საკონსტიტუციო საკითხების განხილვა ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოების (უმეტესად საკონსტიტუციო საბჭოს ან უზენაესი სასამართლოების სპეციალური პალატების მიერ განსაკუთრებული პროცედურის დაცვით. ამასთან საკონსტიტუციო კონტროლი უპირატესად წინასწარ (პრევენციულ) სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, შესაძლებელია შემდგომი კონტროლის გამოყენებაც, განსაკუთრებით საარჩევნო დავებთან დაკავშირებით, აღნიშნულმა მოდელმა გავრცელება ჰპოვა შემდეგ ქვეყნებში: ევროპაში - საფრანგეთში, აფრიკაში - ალჟირში, კოტ - დივუარი, მაროკოსა და მოზამბიკში. საკონსტიტუციო კონტროლის არატრადიციული ორგანოებით საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებათა მქონე არატრადიციული ორგანოები (ეროვნული საბჭო, პარლამენტი ან მისი სპეციალური ორგანოები და ა.შ.) შემდეგ ქვეყნებში მოქმედებენ: ევროპაში - ფინეთში, აზიაში - ბრუნეი, ვიეტნამი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო - დემოკრატიული რესპუბლიკა. აფრიკაში - გვინეა-ბისაუ, ჯიბუტი, კონგო, კაბო-ვერდე, სან-ტომე და პრინსიპი, ტუნისი, ცენტრალური აფრიკული რესპუბლიკა, ეკვატორული გვინეა, ამერიკაში - კუბა, ავსტრალიასა და ოკეანიაში - ავსტრალია[10]. საკონსტიტუციო კონტროლის არმქონე ქვეყნებია: ევროპაში - დიდი ბრიტანეთი (თუმცა ლორდთა პალატის უფლებამოსილებები წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთ ელემენტს შეიცავს), ნიდერლანდებში (იმის გათვალისწინებით, რომ ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციამ ხელი შეუწყო ჰოლანდიის სამართლებრივი სისტემის იმ ძირითადი პრინციპიდან უკანდახევას, რომელიც საკონსტი-

ტუციო კონტროლს უარყოფას ითვალისწინებს). აფრიკაში - გვინეა, ლესოთო, ლიბერია, ლიბია. საკონსტიტუციო კონტროლის განსაზღვრული ფუნქციების მატარებელი საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტები: საკონსტიტუციო კონტროლის განსაზღვრული ფუნქციების მატარებელი საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტები: ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო სტრასბურგში (ევროპული საჩივარი), ევროპის თანამეგობრობათა სასამართლო ლუქსემბურგში (საკანონმდებლო აქტების ბათილად აღიარება, ისეთი ქმედებების აცილება რომელიც მიმართულია ევროპის საბჭოს ან ევროპის თანამეგობრობათა კომისიის წინააღმდეგ, სასამართლოს წევრი ქვეყნის თხოვნით ადრე განხილული საქმეების გადასინჯვა), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სასამართლო ჟენევაში (ასოციაციის წევრი სახელმწიფოს შეკითხვის შესაბამისად წევრ სახელმწიფოებს შორის დავების მოგვარება), ადამიანის უფლებების ამერიკათშორისი კომისია და ამერიკათშორისი სასამართლო, კარტახენის შეთანხმების წევრ სახელმწიფოთა სასამართლო, ცენტრალურ ამერიკული სასამართლო როგორც საკონსტიტუციო სასამართლო ცენტრალური ამერიკისათვის (პროექტი). საკონსტიტუციო კონტროლის ეროვნული სისტემის დამახასიათებელი თავისებურებები განპირობებულია შესაბამისი ქვეყნების მსოფლიოს კონკრეტულ რეგიონებთან კუთვნილებით. ისეთი რეგიონების, სადაც ამგვარი კუთვნილება ყველაზე ცხადად გამოიხატება, შეიძლება მივაკუთვნოთ: ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, არაბული აღმოსავლეთი, აფრიკა, აზია, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა [12]. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ყოფილი სოციალური ბანაკის სახელმწიფოებში სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ეროვნული სისტემების განვითრებისთვის დამახასიათებელია შესაბამისი პრეცედენტების და ტრადიციების უქონლობა. გამონაკლის წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის შექმნის ცდები რუმინეთსა (პირველი მსოფლიო ომამდე) და ჩეხოსლოვაკიაში (მეორე მსოფლიო ომის წინ). მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც კი საკონსტიტუციო კონტროლმა აქ, დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება სახელმწიფო - პოლიტიკურ სისტემებთან წინააღმდეგობათა გამო. ეს სისტემები განასახიერებდნენ პრინციპს, რომლის შესაბამიდან საკანონმდებლო ხელისუფლება პასუხს აგებდა თავისი გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობაზე, ხოლო პარლამენტის გარეშე სტრუქტურის მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება შეუძლებელი იყო, საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებების განხორციელება საკანონმდებლო ორგანოებს ეკისრებოდათ (სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, პოლონეთის სახელმწიფო საბჭო). მოგვიანებით საკონსტიტუციო კონტროლის მსგავსი ორგანოები ჩამოყალიბდა რუმინეთში (საკონსტიტუციო კომიტეტი), უნგრეთში (საკონსტიტუციო კანონმდებლობის საბჭო) და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (საკონსტიტუციო კომიტეტი). სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა დაფუძნება ხდებოდა ძირითადად ოთხმოციანი წლების ბოლოდან დემოკრატიზაციის ზოგადი პროცესების ჩარჩოებში. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში მოქმედებს საკონსტიტუციო კონტროლის ორი მოდელი: საკონსტიტუციო სასამართლოს ევროპული მოდელი (ალბანეთი, ბელორუსია, ბულგარეთი, უნგრეთი, ლიეტუვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუსეთი, რუმინეთი, სლოვაკია, უკრაინა, ჩეხეთი და ესტონეთი). ქვეყანათა ამ ჯგუფის ძირითადი განმასხვავებელი თვისებებია: ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო მოსამართლეთა კანდიდატურების ტრადიციული სასამართლო სისტემის ფარგლებს გარეთ, ე.ი. საუნივერსიტეტო პროფესორთა, სახელმწიფო მოხელეთა და მაღალკვალიფიციურ იურისტთა შორის შერჩევა, რიგ ქვეყნებში კონსტიტუციური იუსტიციის განხორციელებისათვის შუამდგომლობის აღძვრის უფლება სახელმწიფო ორგანოების პრეროგატივაა (ბულგარეთი, ლიეტუვა, პოლონეთი და რუმინეთი), მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში თითოეულ მოქალაქეს გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილება. კონსტიტუციური უფლებების დარღვევებზე საჩივრების აღძვრა დაშვებულია ალბანეთში, უნგრეთში, მოლდოვაში, რუსეთში, სლოვაკეთში, უკრაინაში, ჩეხეთში. უნგრეთის

საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა უშვებს კონსტიტუციური საჩივრის შეტანას როგორც საკონსტიტუციო, ასევე სამოქალაქო უფლებების დარღვევებზეც), საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის მყარ სამართლებრივ გარანტს წარმოადგენს მხოლოდ კონსტიტუცია[13]. უზენაესი სასამართლოს მიერ ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის ხორციელდება ლატვიაში, ყველა აღნიშნული ეროვნული სისტემებისათვის ნიშანდობლივია საკონსტიტუციო სასამართლოების უფლებამოსილებათა სტანდარტული ნაკრები, პრაქტიკულად ყველა დონის აქტების, მათ შორის საერთაშორისო შეთანხმებების, აბსტრაქტული კონტროლი (პოლონეთს გამოკლებით), კანონის, დებულებათა კონკრეტული კონტროლი, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციების განაწილების თაობაზე დავების განხილვა, იმპიჩმენტი, ;არჩევნების შედეგების თაობაზე დავები, აგრეთვე რეფერენდუმის ჩატარების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება, პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე კონტროლი[10], ამ რეგიონის ქვეყნების საკონსტიტუციო კონტროლის სისტემების დამახასიათებელი თვისებები შემდეგში მდგომარეობს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა საკუთარი ინიციატივით განხილვა (ალბანეთი, უნგრეთი, მოლდავეთი, პოლონეთი და რუმინეთი), რაც მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება, აქტების (ძირითადად, საერთაშორისო შეთანხმებების) წინასწარი კონტროლი, რაც დამახასიათებელია პირველ რიგში იმ სისტემებისათვის, რომლების ვითარდებოდნენ საკონსტიტუციო კონტროლის ფრანგული მოდელის ზეგავლენით (ბელორუსია, ბულგარეთი, უნგრეთი, ლიეტუვა, მოლდოვა, რუმინეთი და უკრაინა), უზენაესი სასამართლოს დამატებითი უფლებამოსილებანი აბსტრაქტული კონტროლის და კომპეტენციაზე დავების დარგში (ჩეხეთი)[14], საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზების კონტროლი (უნგრეთი), რომელიც სხვა საკონსტიტუციო კონტროლის სისტემებში ძალზე იშვიათია, საკონსტიტუციო საჩივარი კომუნის მხრიდან (ჩეხეთი), რომელიც გვხვდება მხოლოდ გერმანულ საკონსტიტუციო კონტროლის სისტემაში, საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი (ჩეხეთი), საკონსტიტუციო დონის სამართლებრივი ნორმების განმარტება, საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენციაში (ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუსეთი და სლოვაკია) და კანონის ახსნა-განმარტების (პოლონეთი) საკონსტიტუციო კონტროლის კომპეტენციის ფარგლებში იშვიათად გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1949 წ.გერმანიის კონსტიტუცია, 1949წ.
2. ხუბუა გ. ტრაუტი იოჰანეს, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბ.2001წ.
3. მელქაძე ო.დვალი ბ. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ.2000
4. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილ გონაშვილი, თბ., 2006
5. ქენეთ ჯანდა, ჯეფრიმ.ბერი გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, ლ.თეთრაშვილის რედაქციით, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ. 1995.
6. ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბ. „აირის საქართველო“, 2003.
7. Garlicki, leszek. “The influence of American Ideas on the Development of Constitutionalism in Poland and Eastern Europe”. In Constitutionalism and Human Rights: America, Poland and France, editied by Kenneth Thompson and J.R.Ludwikowski, University Press of America, .

8. Gionea, V. "Decisions of the Constitutional court and Theier Effects". In the role of the Constitutional Court in the Constitutional of the rule of law. Strasbourg: Council of Europe Press, 1994.
9. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I (მეორე გადამუშავებულიგამოცემა), შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილგონაშვილი, თბილისი 2008.
10. ბეჟიტაშვილი ო. მელქაძე ო. იტალიის სახელმწიფო სისიტემა გამომც. „უფლება", თბ.1997წ.
11. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, გ. ჭიპაშვილის რადეაქციით
12. Garlicki, leszek. "The influence of American Ideas on the Development of Constitutionalism in Poland and Eastern Europe". In Constitutionalism and Human Rights: America, Poland and France, editied by Kenneth Thompson and J.R.Ludwikowski, University Press of America, 2011.
13. Gionea, V. "Decisions of the Constitutional court and Theier Effects". In the role of the Constitutional Court in the Constitutional of the rule of law. Strasbourg: Council of Europe Press, 2014.
14. დემეტრაშვილი ა. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ.1992წ.
15. ტარკი შ.კონსტიტუციისა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების უპირატესობა დასავლეთ ევროპაში, ტ.1, ბადენ-ბადენი, 2016წ.
16. BecK'sches Formularbuch fur den Strafverteidiger. Dr. Rainer Hamm, Dr. Ingram lohberger. C.H.BecK'sche Verlagsbuchhandlung. Munchen, 2018.
17. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცუია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I (მეორე გადამუშავებული გამოცემა), შემდგენელთა ჯგუფის ხელმძ. და პასუხისმგებელი რედ.: ვასილ გონაშვილი, თბილისი 2008.

Historical Foundations of the Origin of Constitutional Justice and Constitutional Control Models

Nino Nishnianidze
professor of GTU

Summary

The establishment of the highest judicial bodies for the protection of constitutionality and legality is not an invention of modern legal systems. It is related to the historical development of constitutionalism on the European continent.

Constitutional control has gone through several characteristic stages: The first stage can be seen before the First World War, but it should be noted that some elements of constitutional control date back to 1180, dating to the period of the Germanic Holy Roman Empire.

This is the Austrian period between World War I and World War II, and constitutional justice was established after World War II: Burma in 1947, Brazil in 1946, Germany in 1949, India in 1949, Italy in 1949, Italy in 1948, Luxembourg 1950 This year, Syria in 1950, Thailand in 1949, Uruguay in 1952 and Japan in 1947. Judicial control of the constitution was also spread to various countries in Asia, Africa, Central and South America.

Since the beginning of the modern period it has been marked by political changes throughout southern European countries, which constitutional control emerged after the overthrow of dictatorial regimes: in Greece in 1968, in Spain in 1968, and in Portugal in 1976. About the same period, constitutional control was introduced in Algeria in 1969, in Cyprus in 1960, in Turkey in 1960, and in Yugoslavia in 1963. At the same time, a separate system of constitutional control was revised in Austria, Belgium, Germany, France and Sweden.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეოთხე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი